საქართველოს პრემიერ მინისტრს

მამუკა ბახტაძეს

ასლი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და

სოციალური დაცვის მინისტრს

დავით სერგეენკოს

ზოგადი წინადადება

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–14[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მამუკა,

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თეონა ჭალიძემ, რომელმაც სახალხო დამცველს სთხოვა დისკრიმინაციის აკრძალვის ჭრილში შეეფასებინა ტერმინი „ოჯახის უფროსი“, რომელიც გვხვდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №758 დადგენილების დანართში. აღნიშნული დოკუმენტის მე-9 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტის მიხედვით, დემოგრაფიული ინდექსის გამოანგარიშება შემდეგი სახით არის ფორმულირებული: Y6,4- Y6,4=l, თუ ოჯახის უფროსი არის კაცი, Y6,4=0 წინააღმდეგ შემთხვევაში.

ამასთან, ტერმინ ,,ოჯახის უფროსის'' განმარტება არ არის მოცემული ხსენებულ დადგენილებაში, ისევე, როგორც „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე'' სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) № 04-155/ო ბრძანებაში.

საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველმა მოიძია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში[1] ტერმინი „ოჯახის უფროსი“. ამასთან, საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით,

[1] „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის N60 დადგენილება;

სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სთხოვა განემარტა, სამართალგამოყენებით პრაქტიკაში როგორ განიმარტება ,,ოჯახის უფროსი“ და რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება ამ კრიტერიუმით დემოგრაფიული ინდექსის გამოანგარიშება.

სააგენტოს განმარტებით, *საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ ფარგლებში, „დემოგრაფიული ინდექსი“ „სამომხმარებლო ინდექსში“ შემავალი ერთ-ერთი კომპონენტია, რომელშიც თავის მხრივ, „$Y_{6,4}$- $Y_{6,4}$=1, თუ ოჯახის უფროსი არის კაცი, $Y_{6,4}$=0 წინააღმდეგ შემთხვევაში“. ამასთან, „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „დეკლარაციის „B2“ პუნქტის „შინამეურნეობის მიერ დასახელებული ოჯახის უფროსი“ - შევსებისას უნდა ჩაიწეროს, ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ შინამეურნეობის რომელი წევრი არის ოჯახის უფროსი“.*

სააგენტომ ასევე აღნიშნა, რომ *სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. „TSA პროგრამა ღარიბი მოსახლეობის იდენტიფიცირებას ახდენს საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული ფორმულის (PMT) გამოყენებით“ და მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნას სააგენტოს მიერ წარმოებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზა, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის ინტეგრირებული კვლევის“ მონაცემები/მოდულები, რომლის ფარგლებშიც დაანგარიშდება მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებლები (მშპ, ეროვნული შემოსავალი, დასაქმება, სიღარიბე, მოსახლეობა და სხვა).*

შინამეურნეობის ინტეგრირებულ გამოკვლევაში სხვადასხვა მოდულის შევსებისას გამოიყენება „ოჯახის უფროსი“ და შინამეურნეობაში მცხოვრები პირების მონაცემებიც ივსება „ოჯახის უფროსთან“ მიმართებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლის მიზნით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია“

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესის და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მარტის N03 დადგენილება;

„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება;

ეფუძნება „მოსახლეობის ინტეგრირებული კვლევის“ პრინციპებს და სრულად ასახავს არაპირდაპირი შეფასების სტატისტიკური მოდელის მიდგომებს.

სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სტერეოტიპები და გენდერული თანასწორობა

საქართველოში ქალთა თანასწორუფლებიანობა და ქალთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. სქესზე დაფუძნებული სტერეოტიპები, გენდერული როლების შესახებ აღქმები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ სტიგმა, ცალკეულ შემთხვევებში, ქალს დამამცირებელ მდგომარეობაში წარმოაჩენს.

სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და არსებული სტერეოტიპების წახალისება სხვადასხვა გზით ხდება იქნება ეს სექსისტური შინაარსის რეკლამა[2] თუ საჯარო პირების მხრიდან გაკეთებული დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამები.[3]

---

[2]საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სს „წყალი მარგებელს“;
საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სს „საქართველოს ბანკს”;
საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება შპს „ტაბულას“;
საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება შპს “ვაკის საცურაო აუზს“;
საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება შპს „სისი ლოუნს“;
სახალხო დამცველის საჯარო განცხადება შპს „კრისტალბეთის“ სარეკლამო სექსისტურ პოსტერზე;
სახალხო დამცველის საჯარო განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტერეოტიპულ პრომო რგოლთან დაკავშირებით;
[3]საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება თბილისის საკრებულოს წევრის ვახტანგ შაქარიშვილის სექსისტურ კომენტარზე;
საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება ბათუმის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის სექსისტურ გამონათქვამზე;
საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება მარნეულის მერის სექსისტურ გამონათქვამზე;
საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების სექსისტურ შენიშვნებზე.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, მართალია ზემოხსენებულ აქტებში პირდაპირ არის მითითება იმის შესახებ, თუ ვინ არის/უნდა იყოს ოჯახის უფროსი, თუმცა მიიჩნევს, რომ საზოგადოდ, საუკუნეების მანძილზე, ქართულ ენაში, ტერმინ ,,ოჯახის უფროსის" ქვეშ მოიაზრებოდა კაცი, რომელიც მისი სქესის გამო ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირი იყო. აღნიშნული ტერმინის გამოყენება თანამედროვეობაში ამყარებს ქალის შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რომ ოჯახში ქალი არის მეორეხარისხოვანი წევრი, არ არის თანასწორად გადაწყვეტილების მიმღები და ოჯახში დოვლათის შემომტანი, რაც, თავის მხრივ, სქესის საფუძველზე ნეგატიური სტერეოტიპების წამახალისებელია.

გენდერული თანასწორობის მიღწევა საქართველოს რეალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება იბრძვის ძალადობის და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის დასაძლევად, სექსისტური შინაარსის და სტერეოტიპების შემცველი ტერმინების გამოყენება ამ პროცესისთვის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ამ მხრივ საკანონმდებლო დონეზე ასახული ტერმინი შეიძლება წარმოადგენდეს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკანონმდებლო ბადე, რომელიც ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად უნდა ისწრაფოდეს დემოკრატიული საზოგადოების ისეთი იდეალებისკენ, როგორიც პირთა შორის თანასწორობის პრინციპის დამკვიდრება და სტერეოტიპებისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაა. ამასთან, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახის, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მთავარი მახასიათებელი არის თანასწორობა და პირთა თანაბარი მონაწილეობა შინამეურნეობის საქმიანობაში. საკანონმდებლო დონეზე ასახული ტერმინი კი თავისივე შინაარსში ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს და a priori გულისხმობს ერთი რომელიმე პირის დომინირებას და უფროსობას. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს აქცენტი გაკეთდეს ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტების მიზნებისთვის ტერმინ „ოჯახის უფროსის" შინაარსობრივ მხარეზე, რომელშიც, როგორც წესი, იგულისხმება ოჯახის შემადგენლობაში მყოფი საკონტაქტო პირი, რომელიც ოჯახის წევრების შესახებ ყველაზე მეტად არის ინფორმირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს პრემიერ მინისტრს მიმართავს ზოგადი წინადადებით:

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №758 დადგენილება და „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება და თქვენს კომპეტენციაში შემავალი სხვა შესაბამისი საკანონმდებლო

აქტები მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ შეიცვალოს ტერმინი „ოჯახის უფროსი“ და იგი ჩამოყალიბდეს ნეიტრალური ფორმით;

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,